



აჭაბუგო ნარეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

მეცნიერების დარგი: ჰუმანიტარული მეცნიერება

სპეციალობათა ჯგუფი: ფილოლოგია

სპეციალობა: დასავლეთევროპული და ამერიკული

ლიტერატურა

მისანიჭებელი ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი

(PhD)

ქუთაისი

2008

მისანიჭებელი ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი (PhD)

ქუთაისი

2008

1. პროგრამის სათაური: დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა (ინგლისური ლიტერატურა, გერმანული ლიტერატურა, ფრანგული ლიტერატურა, ამერიკული ლიტერატურა)

2. მეცნიერების დარგი: ფილოლოგია

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი (PhD)

4. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტები და სტრუქტურული ერთეულები:

1. ფაკულტეტები:

ჰუმანიტარული ფაკულტეტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2. დეპარტამენტები:

დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტი
ინგლისური ენის დეპარტამენტი

გერმანული და ფრანგული ენების დეპარტამენტი

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დეპარტამენტი

5. პროგრამის ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანული კაკაურიძე

აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასავლეთევროპული

და

ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტის სრული პროფესორი

ტელ. +995-331- 4 44 86(სახლი)

+995-331- 4 67 48(დეპარტამენტი)

899 95 29 97(მობილური)

6. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა.პროგრამის მიზანი:

სადოქტორო პროგრამა „დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა“ მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ინგლისური ლიტერატურა, გერმანული ლიტერატურა, ფრანგული ლიტერატურა,

ამერიკული ლიტერატურა და წარმოადგენს სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის მიმართულებით. სადოქტორო სწავლების მიზანია, მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგის მომზადება, რომელსაც დამოუკიდებელი კვლევისა (სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, სხვადასხვა კვლევითი მეთოდოლოგიისა თუ პრინციპების ფლობა, მეცნიერული სიზუსტე და კეთილსინდისიერება, საკუთარი მიდგომის, კონცეპტუალური პოზიციის შემუშავებისა და სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირების უნარი და ა. შ.) და მეცნიერული დასკვნების გამოტანის უნარი ექნება. პროგრამის მიზანია, დოქტორანტმა შექმნას ორიგინალური სამეცნიერო შრომები გამოქვეყნებული სტატიებისა და სადოქტორო დისერტაციის სახით.

ბ. შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:

დარგობრივი კომპეტენციები: დოქტორანტი შეიძენს ღრმა და სისტემურ ცოდნას გერმანულ ლიტერატურაში, რეტროსპექტულად გაიაზრებს პრობლემურ საკითხებს, შეძლებს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს, გამოიმუშავეს მკვლევარის უნარ-ჩვევებს, დაეუფლება სხვადასხვა კვლევით მეთოდოლოგიასა და პრინციპს, შეძლებს საკუთარი მიდგომისა და კონცეპტუალური პოზიციის შემუშავებას, სამეცნიერო დებულებათა არგუმენტირებას.

დოქტორანტურა მთავრდება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის (PhD) მინიჭებით შესაბამის სამეცნიერო დისციპლინაში (ინგლისური ლიტერატურა, გერმანული ლიტერატურა, ფრანგული ლიტერატურა, ამერიკული ლიტერატურა); დისერტაცია მისი დაცვიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა გამოქვეყნდება წიგნის სახით, ან განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე ელექტრონული ვერსიის სახით; სადისერტაციო ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და სტუდენტებს; კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნება სალექციო კურსების, სპეცკურსებისა და შესატყვისი მიმართულებით სამეცნიერო კვლევისათვის. ამის გარდა დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ექნება:

ზოგადი კომპეტენციები, რომელიც დაეფუძნება სიღრმისეულ, ზოგად ფილოლოგიურ განათლებას, ასევე სწავლის პერიოდში შეძენილ უნარ-ჩვევებს. მათი მეშვეობით იგი შეძლებს შეძენილი ცოდნისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების ეფექტურად, გასაგები ფორმით პრეზენტაციას. სწავლის პერიოდში შეძენილი ზოგადი კომპეტენციები მას საშუალებას მისცემს, იმუშავოს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში, გამომცემლობებში, რედაქციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში

გ. დასაქმების სფეროები: უნივერსიტეტები, სხვადასხვა ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო, კვლევითი, სასწავლო, თუ სასწავლო-კვლევითი დაწესებულებები, ბეჭდვითი და ელექტრონული მედია, მუზეუმები, გამომცემლობები, რედაქციები, სხვადასხვა ტიპის სახელმწიფო

დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები.

6.სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამაში ჩართვის მსურველებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი მოთხოვნები:

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი შესაბამის დარგში.
- სამაგისტრო სერთიფიკატში მოცემული შეფასება – არანაკლებ 9 ქულისა.

-გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში:

1. საზღვარგარეთისა და დარგის ლიტერატურის ისტორია.
2. II უცხო ენა.

7.კურსდამთავრებულის დარგობრივი კვალიფიკაცია:

- ფილოლოგიის დოქტორი (ინგლისური ლიტერატურა)
- ფილოლოგიის დოქტორი (გერმანული ლიტერატურა)
- ფილოლოგიის დოქტორი (ფრანგული ლიტერატურა)
- ფილოლოგიის დოქტორი (ამერიკული ლიტერატურა)

8. პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტთა აღწერილობა:

დარგობრივი კურსების მოდული

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						
				I	II	III	IV	V	VI	
1.	დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის პრობლემური საკითხები, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები1	სავალდებულო	10	5						
2	დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის პრობლემური საკითხები, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიები2	სავალდებულო			5					
3	დარგის ლიტერატურის პრობლემური საკითხები 1	სავალდებულო	15	5						

4	დარგის ლიტერატურის პრობლემური საკითხები 2	სავალდებულო			5					
5	დარგის ლიტერატურის პრობლემური საკითხები 3	სავალდებულო				5				
6	უცხო ენა1	სავალდებულო	5	2,5						
7	უცხო ენა 2	სავალდებულო			2,5					
4.	ფილოსოფია	სავალდებულო	2,5		2,5					
	არჩევითი კურსები		2,5			2,5				
	ინგლისურ ლიტერატურაში:									
1.	ინგლისური რენესანსული დრამის პოეტიკა									
2.	„მეტაფიზიკური სკოლის“ პოეზია: ევროპული ბაროკოს ინგლისური ნაირსახეობა									
3.	ინგლისური მოდერნისტული რომანის პოეტიკა									
4.	პოსტმოდერნისტული ტენდენციები XX საუკუნის II ნახევრის ინგლისურ ლიტერატურაში									
	გერმანულ ლიტერატურაში:									
1.	გერმანული განმანათლებლური ლიტერატურის სპეციფიკური პრობლემები									
2.	გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიურ-ესთეტიკური საფუძვლები									
3.	XX საუკუნის I ნახევრის გერმანული რომანის პოეტიკა									
4.	XX საუკუნის II ნახევრის გერმანული ლიტერატურის ესთეტიკურ-პოეტოლოგიური ტენდენციები									

	ფრანგულ ლიტერატურაში:																		
1.	ფრანგული სიმბოლისტური პოეზია																		
2.	ფრანგული „ცნობიერების ნაკადის“ რომანის პოეტიკა																		
3.	ფრანგული „აბსურდის დრამის“ თეორია და პრაქტიკა																		
4.	ფრანგული „ახალი რომანის“ პოეტიკა																		
	ამერიკულ ლიტერატურაში:																		
1.	ტრანსცენდენტალიზმი როგორც რომანტიზმის ამერიკული ვერსია																		
2.	XX საუკუნის ამერიკული დრამის პოეტიკა																		
3.	რეგიონალიზმი და მისი სპეციფიკა ამერიკულ ლიტერატურაში																		
4.	თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები																		

დარგის სწავლების მეთოდოლოგიური მოდული

N	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						
				I	II	III	IV	V	VI	
1.	დარგის სწავლების მეთოდოლოგია	სავალდებულო	5			5				
2.	პედაგოგიური პრაქტიკა	სავალდებულო	5				5			

სასწავლო მოდულის კრედიტების საერთო რაოდენობა: 45 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი

N	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	საგნის სტატუსი	კრედიტების რაოდენობის განაწილება სემესტრების მიხედვით						კრედიტების რაოდენობა
			I	II	III	IV	V	VI	
1.	ბიბლიოგრაფიის შედგენა	სავალდებულო	5	5					10
2.	დისერტაციის პროექტის წარდგენა	სავალდებულო		5					5
3.	კოლოქვიუმები	სავალდებულო		5	5	5	5		20
4.	პუბლიკაციები	სავალდებულო			5	5	5		15
5.	დისერტაციის პრეზენტაცია გაფართოებულ სამეცნიერო სემინარზე	სავალდებულო					5	5	10
6.	ექსპერტიზა	სავალდებულო					10		10
7.	რეცენზირება	სავალდებულო						20	20
8.	დაცვა	სავალდებულო						45	45

კვლევითი კომპონენტის კრედიტთა საერთო რაოდენობა: 135

სულ: 180 კრედიტი

9. ტექნიკური ბაზის აღწერილობა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის დეპარტამენტისა და უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის ბაზაზე, დეპარტამენტისა და ცენტრის კაბინეტებსა და ბიბლიოთეკებში, რომლებიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით და უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ყოველგვარი ტექნიკური აღჭურვილობით (ტელევიზორი, ოვერჰედ პროექტორი, ვიდეომანგიტოფონი და ა. შ.), დოქტორანტისათვის საჭირო სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით.

10. პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელები და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი:

ა) ხელმძღვანელი:

პროფ. ნ. კაკაურიძე

ბ) თანახელმძღვანელები:

ინგლისური ლიტერატურა – პროფ. ი. ცხვედიანი

გერმანული ლიტერატურა – პროფ. ნ. კაკაურიძე

ფრანგული ლიტერატურა – პროფ. ზ. არჩვაძე

ამერიკული ლიტერატურა – ასოც. პროფ. ვ. ამაღლობელი

გ) აკადემიური პერსონალი:

პროფ. ი. ცხვედიანი, პროფ. ნ. კაკაურიძე, პროფ. ზ. არჩვაძე, პროფ.

მ. მეგრელიშვილი, პროფ. მ. ებანოძე, დოქტ. დ. შეფი, ასოც. პროფ.

ვ. ამაღლობელი, ასოც. პროფ. ე. ქორიძე, ასოც. პროფ. ე. ჟორჟოლიანი.

დ) პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის CV (იხ. დანართი №1)

11. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პარტნიორი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები:

1. ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის სახელობის უნივერსიტეტი
(ჰაიდელბერგი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

2. დალჰაუზის უნივერსიტეტი (ჰალიფაქსი, კანადა)

3. ჰაინრიხ ჰაინეს სახელობის დიუსელდორფის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დიუსელდორფი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

4. გოეთეს საერთაშორისო საზოგადოება (ვაიმარი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

5. მონტანას უნივერსიტეტი (მონტანა, აშშ)

6. სანტა კრუზის უნივერსიტეტი (კალიფორნია, აშშ)

7. მისური-კოლუმბიის უნივერსიტეტი (მისური, აშშ)

8. მისური-როლას უნივერსიტეტი (მისური, აშშ)

9. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

10. თბილისის საერო უნივერსიტეტი „მეტეხი“

12. შეფასება:

შეფასების ფორმა-ზეპირი (პრეზენტაცია, კოლოქვიუმი)

შეფასების კრიტერიუმები:

დასწრება	10%
კოლოქვიუმში მონაწილეობა	30%
პრეტენტაცია	30%
საბოლოო გამოცდა	30%
საბოლოო შეფასება	100%

13. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა:

- ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
- ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს

ზემოაღნიშნული სისტემით.

- ა) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით:
1 - „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, 2 – „არადამაკმაყოფილებელი“, 3 - „დამაკმაყოფილებელი“, 4 – „საშუალო“, 5 - „კარგი“, 6 - „ძალიან კარგი“, 7 - „ფრიადი“.
- ბ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E ;
- გ) E განისაზღვრება, როგორც E – თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E არის n , 5 სახის, მაშინ E განისაზღვრება $n + 1$ – ის ტოლად)
- დ) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ა) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ –ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ –ით ან „არადამაკმაყოფილებელი“ –ით)
- ე) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ –ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 2$.
- ვ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$.

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფ. ნანული კაკაურიძე